გაზეთის ფასი

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 70 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაბეჭდად და კერძო განცხადებანი დასაბეჭდად უნდა მიგზავნონ: თვითონ რედაქციას ახალ-მეტეხის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ-ნ ხი-დეველის სავაჭროს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888


**გაზეთი „ივერია“ პირველ მაისიდამ წლის დამლევამდე ღირს 7 მ. 25 კ.**

12 მაისს, ხუთშაბათს, საღამოს 7½ საათზედ, მოხდება მორიგი კრება კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა.

განსახილველი საგნები:

1) მიმომდინარე საქმეები;

2) მოხსენება საზოგადოების ნამდვილის წევრისა, ბ-ნის სტრუვესი, ღვინის მოწამლვასა და სხვა-და-სხვა წამლებით შელებვაზედ;

3) მოხსენება ნამდვილის წევრისა, ბ-ნის ენფიანჯიანცისა, თამბაქოს თესვასა და მოყვანაზედ.

კრებაზედ შეუძლიანთ დაესწრნენ არა-წევრთაც.

ტფილისი, 10 მაისი

ვიტტორინო დე-ფელტრე, *) რომელიც, — როგორც წინადა ვსთქვით, — პედაგოგიის მამად ითვლება, ერთის ღარიბის ოჯახის შვილი იყო ვენეტიკის სამფლობელოში და დაიბადა 1378 წელსა. იმის ყრმობის დროს ერთი აქა-იქ მოარული ოსტატი იყო რიტორიკისა და ლათინურის ენისა, მეტად სახელ-განთქმული. ეს იყო ჯიოვანნი დე-რავენნა. პირველ-დაწყებითი სწავლა-განათლება ვიტტორინომ ამისაგან მიიღო, მერე პადუის უნივერსიტეტში გადავიდა და საოცარი წყურვილი ჰქონდა მათემატიკა ესწავლა. ხოლო გროში არა ჰქონდა ფული ეძლია მათემატიკის ერთად-ერთ მასწავლებელისათვის პადუაში ბიაჯიო პელაკანისათვის, აიღო და მოსამსახურედ დაუდგა და მოსამსახურობით გასამჯელოს უხდიდა თავის ოსტატსა.

მალე შეატყო ვიტტორინომ, რომ ბიაჯიო ვერაფერი ოსტატია და ამისაგან ვერას გამორჩება. დიდის ნიჭის პატრონი და ამასთან ცოტაოდენ სწავლა-განათლებით გზა-კვალ გახსნილიც ვიტტორინო განშორდა ოსტატს და თვითონ მარტოკა შეუდგა საყვარელის მეცნიერების სწავლასა. მალე ისე გაიმართა და ისე ისწავლა, რომ თვითვე შეეძლო ესწავლებინა მათემატიკა სხვისათვის. 1414 წელს ვიტტორინომ ვენეტიკაში ოსტატობა დაიწყო: აიყვანა რამდენისამე დიდ-კაცის შვილი სასწავლებლად ფულით და ღარიბებს-კი მუქთად ასწავლიდა. 1418 წ. რიტორიკის პროფესორადაც შეიქმნა. ამ პროფესორობაში ისე გაითქვა სახელი, რომ მანტუანის ჰერცოგმა ჯიან ფრანჩესკო ჰონზაგომ მიიწვია თავის შვილების აღმზრდელად. ჰერცოგმა მშვენიერი სადგური მისცა ტბის პირას, ქალაქზედ მოშორებით, და 1425 წ. ვიტტორინო აქ დაბინავდა ჰერცოგის შვილებითა და მათის ტოლ-ამხანაგებითა დიდ-კაცთა შვილთაგან. თუმცა ეს სკოლა მარტო ჰერცოგის და მის დარბაისელთა შვილთათვის დანიშნული იყო, მაგრამ ვიტტორინომ ეს არ შეიწყნარა და იგი მანტუის სკოლა საყოველთაო სკოლად გადააქცია. ამ სახით სკოლის კარი გააღო ყველა წოდების შვილთათვის, როგორც მდიდართა, ისეც ღარიბთათვის. ხოლო ღარიბთათვის სკოლის მახლობლად გაჰმართა ცალკე სადგური, სადაც იგი აჭმევდა, ასმევდა, აცმევდა და აძლევდა ყოველისფერს, რაც სკოლაში სახმარად საჭირო იყო.

ჩვენ ეს მანტუანის სკოლის მოკლე ისტორია იმიტომ მოვიხსენიეთ აქ, რომ იგი ერთი უძველესი საშუალო სასწავლებელი იყო ევროპაში, რომელმაც ყველაზედ უწინ საფუძვლად და სათავედ დაიდო ახალი მოძღვრება ჰუმანობისა ვიტტორინოს მეთაურობითა. ვიტტორინოს იდეალად, ანუ მაგალითად ჰქონდა ათინური „გიმნასიი“, სადაც ერთნაირი და თანასწორი ყურადღება იყო მიქცეული, როგორც ყმაწვილის ჭკუა-გონების განვითარებასა და გაძლიერებაზედ, ისეც ძვალ-ხორც-ჯანის გამაგრებასა და გალონიერებაზედ. ხოლო მისაღწევი საგანი-კი ვიტტორინოს სკოლისა ზნე-ხასიათის გაწვრთნა, დამთავრება და დადგენა იყო. ამიტომაც სკოლაში სწავლება და გარედ ჰაერზედ ვარჯიშობა ერთი ერთმანეთს რიგ-რიგად მოსდევდა. ყოველ დღეს დანიშნულს საათს, რაც ვინდ ტაროსი ყოფილიყო, ყმაწვილები ვარჯიშობდნენ სრბოლასა, ჭიდაობასა, ცურვასა, ბურთაობასა და შვილდოსნობაში, ზოგჯერ ნადირობის და თევზობის ნებასაც აძლევდა. ზაფხულობით ოსტატების თანახლებით ყმაწვილებს სამგზავროდ ისტუმრებდა კარგა შორს, ზოგჯერ ალპიის მთებშიაც.

თუმცა სწავლების სახსრად ძველი ენები იყო, ბერძნული და ლათინური, რომელთაც თვითონ ვიტტორინო ასწავლიდა უფროსს კლასსებში, მაგრამ მარტო იმისთანა კლასსიკებს აკითხებდა, რომელთაც შეეძლოთ ემოქმედნათ ყმაწვილების ზნე-ხასიათის გაწრთვნასა და გამართვაზედ. ამ კლასსიკების სწავლებასთან ერთად მხარ-და-მხარ ასწავლიდა მათემატიკას, რომელიც ვიტტორინოს მიაჩნდა გონებისათვის უკეთესს სავარჯიშოდ.

ვიტტორინო სულითა და გულით მიეცა თავის სკოლას და ყმაწვილებს ისე ექცეოდა, როგორც მამა შვილებსა. სკოლას შესწირა თავისი საკუთარი ბედნიერება: არ მოეკიდა არც ოჯახს, არც ცოლ-შვილიანობას. როცა მეგობრებმა ურჩიეს ცოლი შეირთე და შენისთანა შვილები დაუტოვე შენს ქვეყანასაო, იმან უპასუხა, რომ უმაგისოდაც საკმაო შვილები მყავანან სკოლაშიო.

მაგრად იდგა რა პლატონ ფილოსოფოსის თქმულზედ, რომ თავისუფალი არსება თავისუფლად უნდა იზრდებოდესო უტყეპ-უცემლად, ვიტტორინო უძღვებოდა თავის შეგირდების წრთვნას მაგალითითა და ჩაგონებითა და მარტო ძალიან იშვიათს შემთხვევაში ჰხმარობდა ხორცთა სასჯელსა. როცა ამ გზით საქმის სვლამ დაანახვა, რომ საქმე კარგად მიდის, მან სამუდამოდ და უკუ-დაუბრუნებლად განაძევა თავის სკოლიდამ ხორცთა სასჯელი. სკოლის რიგი და წესი მარტო თავის თავის ზნეობურს გავლენაზედ დაამყარა ამ საკვირველმა კაცმა, რომელზედაც მისი თანამედროვე ამბობს, რომ იგი იყო ზევარდმო ღვთაებურის მადლით ცხებულიო. მხიარულად და ხალისიანად მიდიოდა სკოლის საქმე, ასე რომ თვითონ სკოლას „მხიარული სახლი“ დაერქვა სახელად.

ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ვიტტორინოს სკოლა უნაკლულო იყო. ბევრი რამ აკლდა და ვრცლად რომ აგვეწერა, იქნება დაგვენახა ზოგი რამ მეტიც, ხოლო ჩვენ თუ ეს ამბავი მოგვყავს, მარტო იმისთვის, რომ ვიტტორინოს აზრი, მაშინდელის სკოლის საფუძვლად დადებული, მხოლოდ დასაწყისია, ფეხის ადგმაა ახალის საპედაგოგიო თეორიისა. მაშასადამე, ვიტტორინოს მოქმედებას სასკოლო სარბიელზედ ისე უნდა ვუყუროთ, როგორც დვრიტას, რომელიც მერე და მერე გადვივდა, როგორც

*) ეს ცნობები თითქმის სიტყვა-სიტყვით ამოვსწერეთ, ცოტა-კი შემოკლებით, თხზულებიდამ: „პედაგოგიური თეორიები განახლების ეპოქისა“.

## ფელეტონი

### წიგნი, მოწერილი ჯარიდგან ალმასაანთ გესოსაგან თავის დანიშნულს თამრო გოგოსთან.

მითხრეს სტირისო, რას სტირი,
რამ აგიდუღა გული?
რას სტირი, გოგოვ ბეჩავო,
რადა გდის ნაკადული?..
ლაშქრად წამოველ საომრად,
განა აქ დავბინავდები;
ნუ სტირი, მალე მოგივალ,
ღმერთია ამის თავდები...
რას სტირი გულის ჭირიმე,
რად ითხრი მაგ შავ თვალებსა,
ჩემდა ნუ სტირი, მოგივალ,
აბა რა გავალალებსა...
შენგან დაჭრილი გულშია
მტერს რადას შავეპოვები,
ან მოვკლავ, ან შავაკვდები,
ისე არ დავეთხოვები!
ნუ სტირი ჩემდა, წამოვალ,
აქ ხომ არ დავბინავდები;
ნუ სტირი, მალე მოგივალ,
ღმერთია ამის თავდები.

თ. რაფ. ერისთავი

### საცოდავი

(ვუძღვნი კ. ტ. ა—ს)

(მოთხრობა)

(შემდეგი *)

**IV**

ვახთა ძიმუარია აქამდისაც იცნობდა ეკას მამას და დედას, როცა ბატონები და ივანე პეტრეს ძე საყდარში წავიდნენ, იმის სანახავად წავიდა. რა აზრიც ჰქონდა ვახთას, ეს ჩვენ უკვე ვიცით, მაგრამ ვახთა, როცა იქ მივიდა, თითქოს ავადმყოფის მეგობრის სანახავად მისულიყოსო, ისე მოიქცა. უნდა გენახათ, როგორ გამხიარულდა ეკას დედა, როცა ვახთა იმათ ღარიბს ქოხში შევიდა. იმისთვის აღდგომა გათენდა დღეს, რაკი ამისთანა დიდი კაცი ეწვია. საბრალოს ეგონა, რომ ვახთას თვითონ „ღრუბენატორიც“-კი ეკითხებოდა ხოლმე თავის საქმეებში და აი, ამისთანა კაცის წვევის ღირსი გახდა დღეს იმისი ოჯახი. რა არის გასაკვირველი ამის შემდეგ, რომ ვახთას სიტყვა „წმიდა-წმიდათა“ იქნებოდა იმისთვის.

ვახთამაც, როგორც ჩინებულმა დიპლომატმა, პირდაპირ-კი არა სთქვა თავისის მისვლის მიზეზი, რომ უეცრად არ წაეხდინა საქმე. არა, იმან შორიდამ დაიწყო სიტყვა.

ვახთამ ჯერ გამოიკითხა ოჯახის მდგომარეობა, ოჯახის ავი და კარგი, თითქოს ძალიან ეპრიანება ვილაც ყაზახის ამბის გაგებაო, და, რასაკვირველია, შეიტყო, რომ იმათი ცხოვრება მაინც და მაინც სანატრელი არ არის. ეკას სამი ძმა ჰყავდა და სამი და; ყველას უნდოდა თავისი წილი გაეტანა. ეკას მამის ადგილ-მამული რომ სამად გაყოფილიყო, რაღა იქნებოდა? ახლა ოთხი ქალიშვილი, ოთხივეს გათხოვება, ოთხივეს მზითევი? აბა სად აუვიდოდა ყველას ერთი უბრალო ღარიბი, ამასთან მოხუცებული და დაავადმყოფებული გლეხკაცი?

— ეჰ, სწორედ არ ვიცი, რა ექნა, როცა მომაგონდება ყველა ესა. ამოოხვრით უთხრა ეკას მამამ ვახთას და მართლაც არ იცოდა საბრალომ, რა ექნა, როგორ გასწვდომოდა ყველაფერს.

აი ახლა შეეძლო ვახთას თევზის დაჭერა, რადგან წყალი საკმაოდ აიმღვრა. თვითონაც, რასაკვირველია, ეკადა, იხმარა ყოველივე საშუალება, რაც-კი იმის მაცდურ თავიდამ გამოვიდოდა. თვითონ სატანასაც-კი შეეხარბებოდა ვახთას მოხერხებული სიტყვები. ვახთამ ნათლად დაუყენა თვალ-წინ საბრალო მოხუცებულთ სასუფეველი, თუ-კი იმის რჩევას მიიღებდნენ. მართლაც, ან-კი რა ცუდი რჩევა იყო ვახთას რჩევა? ეკას მამას ბევრი შვილები ჰყავდა, ყველას ვერ ასდიოდა და რა იქნებოდა მერე, რომ ერთი იმათგანი სხვისთვის მიეცა, შვილობილად, როგორც მეგრელების ჩვეულება ყოფილა ძველადგანვე, სხვად ხომ არაფრად. მერე ვის? დიდს ივანეს, რომლის წინაშეც თვითონ იმისი ბატონიც-კი თავს იხრიდა.

მაგრამ არც ისე ადვილი შეიქნა საქმე, როგორც ვახთას ეგონა. ეკას მამას არაფრის გულისათვის არ უნდოდა დათანხმებულიყო, რომ იმისი შვილი ასე შორს წაეყვანათ; მერე ისიც უცხოელს, სხვა ტომის კაცსა.

— არა, შვილო, არა; მაგათ მამაშვილობა არ იციან. შვილი რომ გამოყიდოს, ვილასა ესდიო მერე? გულის ტკენით ამბობდა ეკას მამა.

ბევრი უმტკიცა ვახთამ, რომ დიდი ბატონი აქაური კაცია, თითქმის მეგრელიაო, გაჩვენებულდაო, აქაური ზნე და ჩვეულება შეითვისაო, მაგრამ, მე მგონია, მაინც ვერ დააჯერებდა საბრალო მოხუცს, რომ ვახთას თვითონ ეკას დედაც არ გამოსარჩლებოდა. ცოლი ეუბნებოდა ქმარსა, რომ შენ არ გინდა შენის შვილების გაბედნიერება, კეპი და ჯიუტიანი ხარო, ეს ერთად ერთი ღონეა, რომ ჩვენი ოჯახი ფეხზე წამოვაყენოთო; რომ ამით მარტო ეკა-კი არა, მთელი ოჯახი გაბედნიერდება, რადგან ის კაცი დიდი კაცია და არც სხვებს დასტოვებს უყურადღებოდაო; რომ ჩვენც ამ სიბერის დროს მოვისვენებთ, და სხვა ამ გვარები. ვახთაც ყოველ იმის სიტყვას თავის მხრით კვერს უკრავდა და რაღა უნდა ექნა ამის შემდეგ ეკას მამას? ამისთანა მოხერხებული იერიში ქაჯეთის ციხესაც-კი აიღებდა, თორემ მოხუცებულის დასუსტებულს გულს, რასაკვირველია, სულ დაამსხვრევდა. ეკას მამაც დასთანხმდა ბოლოს, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ ეკას სურვილზედ მიეგდოთ საქმე: თუ ის ისურვებს, მაშინ არც მე ვეტყვი უარსაო.

ამ დროს ეკაც მოვიდა გაქარხლებული, გამხიარულებული, გადაეხვია დედა მისს და შეეხვეწა, რომ ისიც და მამა მისიც დათანხმებულიყვნენ და ნება მიეცათ დიდის კაცის შვილობილი გამხდარიყო. დედას შვილის ბედნიერებით თვალებზედ ცრემლები მოერია და გულში ჩაიკრა საყვარელი შვილი. ამის მერე მამასაც აბა რაღა ეთქმოდა, და ამ ნაირად გაიჩარხა საქმე.

ვახთამ, შეიტყო თუ არა ნამდვილი, მაშინვე გამოეთხოვა მასპინძელთ, თუმცა ბევრი იპატიჟეს სადილად, და გაეშურა, რომ გაეხარებინა თავისას ბატონის გული.

*) იხ. „ივერია“ № 91 და 94.

გვირტს, რომელიც მერე და მერე გაიშალა და გადაიხსნა სხვათა მეცნიერთა შემწეობითა.

## ახალი ამბავი

*** ამ დღეებში ქართული დრამატიული დასი აპირობს წარმოადგინოს ახალი პიესა ბ-ნის ავქ. ცაგარლისა «ციმბირელი». ეს ახალი პიესა ოთხ-მოქმედებიანია და, როგორც ამბობენ ისინი, ვისაც წაუკითხავს, თუ არ სჯობიან ამ ავტორის სხვა პიესებს, არაფრით არ ჩამოუვარდება. მაინცა და მაინც ამ ახალის პიესის ნახვა სცენაზედ დიდად საინტერესო უნდა იყოს ჩვენის საზოგადოებისათვის, მით უმეტეს, რომ ბ-ნის ცაგარელის ყველა პიესებს ის საერთო ღირსება აქვსთ, რომ სცენაზედ დიდის სიცოცხლით, ინტერესით წარმოდგენილი იქმნებიან ხოლმე.

*** 9 მაისს, ღამე, პირველი საათი შეიქნა და ასტყდა ტფილისში საშინელი ჭექა-ქუხილი, რომელსაც მოჰყვა დიდი, მსხვილი წვიმა. ერთს წამს გაივსო ქუჩები და ეზოები წყლითა. მთებიდამ მოსკდა თქეში, წამოვიდა ნიაღვარი და მოეცა ქუჩებს, რომლებშიაც ჩამოიტანა მრავლად ქვიშა და კლდის ქვა. ზოგიერთი დაქანებული ქუჩები მდინარეს მოაგონებდა კაცსა. ერთის პირიდამ მეორე პირზე გადასვლა აღარ შეიძლებოდა, არა თუ მაშინ, როცა წვიმა დაიწყო, ღამევე, არამედ გათენებისასაც, დილის 5 საათზე, როცა უკვე გადაიღო ავდარმა. ავჭალის ქუჩაზე ისეთი დიდი წყალი მოსკდა, რომ პოვოსკებით გადადიოდა ხალხი ერთის ნაპირიდამ მეორე ნაპირას. ზოგიერთმა მეპოვოსკემ ერთს საათში 5 და 10 მანეთი იშოვა ხალხის გადაყვანითა. ფაეტონებს ხომ ვერა ჰბედავდნენ ამ ნიაღვარში გასვლას. ბევრგან თქეშმა და ნიაღვარმა სახლები დააქცია, ზოგან სარდაფები წყლით აავსო და დიდი ზარალი მისცა ხალხსა. 4 საათის განმავლობაში იჭექ-იელა ცამ. ცალკე ქუხილმა და ცალკე წვიმისა და ნიაღვრის შუილ-ხუილმა განთიადისასვე ფეხზედ დააყენა ხალხი და დიდი წივილ-კივილი და ვაი-ვაგლახი ასტეხა. გუშინ კიდევ, ნასადილევის სამს საათზე, უეცრად ჩამოიბნელდა ცა და მსხვილ წვიმასთან ერთად სეტყვამაც დაუშვა. საბედნიეროდ, სეტყვამ სულ ნახევარ' საათ' ძლივს გასტანა.

*** ბ-ნის ფორკატის დასი წარმოადგენს ამ დღეებში ორს ფეერიას კიდევ: ერთია „ძენი კაპიტანის გრანტი'ა", გადაკეთებული ჟიულ ვერნის რომანიდამ, და მეორე—„ქრისტეფორე კოლუმბი".

*** ჩვენ დარწმუნებით შევიტყეთ, რომ ბ-ნი ალნიაშვილის ქართული ხორო ამ ათიოდე დღის განმავლობაში გაჰმართავს პირველად პირველ ფეერიას «ყარამანი», ხალხურის «ყარამანიანიდგან» გადაკეთებულს, სამს მოქმედებად და თერთმეტ სურათად. ამისათვის საჭირო სამზადისს უკვე შესდგომიან: შეუკვეთიათ დეკორაციები (ციხე შაჰპალი ფერიისა, ბალი ირანის მეფისა, ფანტასტიური დარბაზი დევთა მეფისა, გუმბათი ჯადოთი შექმნილი, ჯადოთ სამყოფელი მღვიმე, ბანაკი ინდოთ მეფისა და სხვ.), სცენის მოწყობილობა (ექვს ფეხიანი და ალმასის რქიანი რაში, რომელიც გარბის მთელს სცენაზე, ვერცხლისა და მარმარილოს კაცები, რომელნიც პირიდგან ცეცხლს ისვრიან, ცეცხლის წვიმა, გველის წვიმა, გუმბათის დაქცევა, მთების დაქცევა, მღვიმეების დარღვევა, აფრენ-ჩამოფრენა დევთა და ფერიათა) და ახალი ტანისამოსები (დევთა, ფერიათა, ჯადოთა, ზღვის ხალხთა, აიართა, ჩინელთა, კუნძულელთა, ქიშმირელთა და სხვა-და-სხვათა). ამბობენ, ას ოთხმოცი კაცი გამოვა სცენაზე და ას თუმანზე მეტი დაუჯდებათ ყველა ამეების დამზადებაო.

*** გამოძიება უკვე გაუთავებიათ ადიუტანტის პეკარსკის მოკვლის გამო და ნიკიფოროვის საქმე ახლა პროკურორისათვის გადაუციათ.

*** გუშინ დილით ბაქოდამ მოსულებს უამბნიათ, რომ როცა მატარებელმა მოატანა მტკვრის ხიდსა, შეენიშნეთ, მტკვარი საშინლად ადიდებულიყო და დიდის ძალითაც სცემდა ხიდის ბურჯებსა. მატარებელი შეაჩერა მემაშინემ, ხალხი გადმოხტა ვაგონებიდამ, მაგრამ მემაშინემ გაბედა მაინც შედგომა ხიდზე და საჩქაროდ გამოატარა მატარებელი. ჩვენ ვეღარა შევიტყვეთ-რა იმ ხიდისა, მაგრამ უეჭველია, ასე უცბად მოვარდნილი და გაონავერებული მტკვარი ხეირს არ დააყრიდა იმ ხიდსა. არ ვიცით, რამდენად მართალია ყოველივე ეს, მაგრამ ამბობენ-კი, რომ ზვირთები მტკვრისა თითქმის ხიდსა სწვდებოდნენო.

*** ერწოს ხეობა: აქაურს ტყეებში, სახელდობრ საბადურისაში, ამ ქამად ბევრი ნახშირის საწვავი ორმოებია და იმერლები ამუშავებენ. ამ ადგილებში 5 მაისს მომხდარა შემდეგი უბედური შემთხვევა. მუშა მენახშირე იმერელს, ლეჩხუმის მაზრის სოფ. საირმეში მცხოვრებელს, ხუციძეს, შუადღისას წაუსხამს ტყეში ხარები საძოვარზედ. მუშას თურმე დასძინებოდა და რომ გამოღვიძნა, ნახშირის ორმოზე მისულიყო რაღაც ნაირად შეშლილი და გაგიჟებული. ენა სრულიად ჩავარდნოდა, ვეღარას ლაპარაკობდა, ხელებს იქნევდა აქეთ-იქით, ხან თავში იცემდა, ხან ტანზე, ხან იცინოდა და ხშირად ამოთქნარებ-ამზმორებდა, ფეხზედ ვეღარა დგებოდა. ამ კაცის იქ მყოფს ამხანაგებსაც ძალიან შეშინებიათ. ამავე დღეს ამხანაგებს, რომლებიც შეშლილის ბიძაშვილები არიან, შეუსვამთ ეს კაცი ცხენზედ, ერთი ამხანაგთაგანი გავაზედ შემოსჯდომოდა შეშლილს, რომ არ ჩამოვარდესო, და ისე ჩამოიყვანეს ერთის ვაი-ვაგლახით სოფ. ამტნის-ხევის სამრევლოს მღვდელთან, რომელსაც საჭირო ლოცვები უნდა წაეკითხა ავადმყოფისათვის. ამ ამბავს ბევრნი დაესწრნენ. საწყალს ხანდისხან პირში ქაფი მოადგებოდა ხოლმე და საშინლად ამთქნარებდა. მღვდელმა ეკკლესიაში ლოცვები წაუკითხა. საბრალო ეხლაც ამავე მდგომარეობაშია. ეს კაცი ლოცვების წაკითხვის შემდეგ ისევ წაიყვანეს სხვა სოფელში დასაბინავებლად და ვნახოთ, რა მოუვა.

*** იქიდამვე: ბევრს ერწოს-ხეობის მცხოვრებლებს დღემდე აქეთ შენახული თივა, ქერი და პური, იმ იმედით, რომ ზაფხულში დ. თიანეთს საბანაკოდ ჯარები მოვლენ და გავასაღებთო. მაგრამ, როგორც ეტყობა, ჯარისთვის საჭირო თივას, ქერს და სხვას. სულ ქალაქიდგან მოიტანენ, რადგან იქიდგან უფრო იაფად უჯდებათ. აქ ფუთს თივას 60 კაპ. ნაკლებ არ იძლევიან. ქალაქიდგან ამოტანა-კი ასე უჯდება ჯარსა: ქალაქში ფუთი თივა ღირს 15 კაპ. და იქიდგან თიანეთამდე ქირაც ფუთზე სამი შაურია, მაშასადამე, თიანეთს მოტანით სულ ჯდება 30 კაპ. ამ თვის 4-ს ქალაქიდგან თიანეთისკენ ატარეს ორმოციოდე ურემი, თივით დატვირთული.

*** სოფ. ოზაანი (სიღნაღის მაზრა): აღდგომის დღეს, სოფ. ოზაანის მინდორში, სახელდობრ ჩახრიელაზედ, მოხდა შემდეგი შემაძრწუნებელი ამბავი. სოფლის საზოგადოებისაგან იყვნენ ამორჩეულნი მინდვრის ყარაულებად ივანე იობის ძე მეხრიშვილი და კოლა ზაქარიას ძე ყაჭაშვილი. აღდგომის დღეს სამხრობა იყო თურმე, როდესაც ჯუგაანურს მეცხვარეს, ლევან ბასილას ძეს კაკილაშვილს, ცხვარი გადაეშვა ოზაანურს ყანებში. ამ დროს მივიდნენ ოზაანის მეველეები, ნახეს წანახედი და კოლა ყაჭაშვილმა უთხრა ხუმრობით და სიცილით მეცხვარეს: რადგან ყანები წაგიხდენია ცხვარსა და აღდგომა დღეს ჩხუბი არ ვარგა, მოდი, ერთი ბატკანი გვაჩუქეთ (მეცხვარეს ორი ამხანაგიც სხვა ჰყოლია), დავკლათ და დროება გავატაროთო. ამაზედ მეცხვარეს ცივი უარი უთქვამს. მაშ რადგან ასეა, მომეცი შენი ყაბალახი, სოფელს ნიშნად მივუტანოთ, თორემ, ხომ იცი სოფლის საქმე, სამეველოს დამხუთავენ, აღარ მომცემენ, მეტყვიან—ქრთამები აგიღია და ყანებისათვის-კი ყური არ გითხოვებიაო. ამ დროს მისულა ყაჭაშვილი და ყაბალახი აუხსნია ყელიდგან მეცხვარისათვის. მეცხვარეს ყაბალახის მიცემა ძალიან უთაკილნია, არც აული და არც დაული, უშიშვლნია ხანჯა-

---

ვახთა დარწმუნებული იყო, რომ იმან ღირსეულად შეასრულა თავისი მოვალეობა და ღირსეულადვე მიიღებს ჯილდოს. ვისგან? ღმერთისგან?.. არა, ბატონ ივანესაგან. ღმერთი კარგა ხანია იმისთვის აღარა ჰსუფევდა, თუმცა ღმერთმა დაიფაროს, რომ იმას ღმერთი არა სწამდეს! იმისთვის რომ გეკითხათ, ღმერთი გრწამს თუ არაო, თოფს გესროდათ, ან არა-და ხანჯალს მაინც ამოიღებდა წყრომითა და მუქარით. ის მართლ-მადიდებელი ქრისტიანი იყო, „მამაო ჩვენო" და „მრწამს ერთი ღმერთი" ზეპირად იცოდა და ყოველ დილა-საღამოს დიდის გულ-მოდგინებით ლოცულობდა.

—

ეკას სიხარულით მიწაზედ ფეხი აღარ ედგა, რა-კი ჰხედავდა, რომ ჩემს ბედნიერებას წინააღმდეგი აღარავინა ჰყავსო. მხიარული იყო აგრეთვე იმის დედაც; თუმცა ცრემლები ლაპალუპით ჩამოსდიოდა დამჭკნარს ლოყებზედ და ნიკაპის წვერზედ ისკვნებოდა, მაგრამ ეს ცრემლები სიცილზედ უფრო ტკბილი იყო. მხიარულნი იყვნენ ეკას დები, თუმცა არ შეიძლება, ცოტა არ იყოს, ეკას ამისთანა ბედნიერებისათვის შურით არ დაეწყოთ ცქერა. მხიარულნი იყვნენ ეკას ძმები... ერთის სიტყვით, მთელი ის სახლი, მთელი იმ სახლში მყოფი ვეჯი, მთელი ის ეზო გამხიარულებული იყო. ასე გაიგონეთ, მურიაც-კი მხიარულად ჰყეფდა და ელაქუცებოდა ეკას, თითქოს ისიცა ჰგრძნობს იმის ბედნიერებასო. ზევით ჰერში მერცხლებსაც-კი შეეტყოთ ეკას ბედნიერება და თავის გაუთავებელის ჭიკჭიკით თანაუგრძნობდნენ ეკას მხიარულებას.

მაგრამ იყო ერთი ვინმე კიდევ ამ სახლში, რომელსაც გული რაღაც ცუდს ეუბნებოდა და რომელიც არ იღებდა მონაწილეობას ამ საერთო დღესასწაულში. ის იწვა ლოგინზედ ბნელს კუთხეში და, თითქოს არ უნდა მოუშალოს სხვებს მხიარულებაო, გადაბრუნებულიყო კედლისკენ და ცხარის ცრემლით ქვითინებდა. ეს იყო ეკას მამა, რომელიც ოდესღაც ახლდა ბატონს ქუთაისში და იცოდა იქაური ამბები. იმას ცხადად წარმოუდგა ეხლა ქუთაისის ვიწრო და ტალახიანი ქუჩები, წარმოუდგა ეს ქუჩები თავის დუქნებით, სამიკიტნოებით და ცუდის ყოფა-ქცევის ქალებით; წარმოუდგა ქუთაისის „სლაბოდკა" ჯარის-კაცებით და საზიზღარის სახლებით, ის „სლაბოდკა", სადაც, ვინ იცის, რამდენი თავის ქვეყნის ქალი უნახავს იმას უპატრონოდ...

გაერთო ფიქრებში და, ვინ იცის, რაები არ ელანდებოდა საბრალოს? ხან ჰხედავდა ეკას მივარდნილს ქუჩაში მშიერ-მწყურვალს, უპატრონოდ; ხან—სამიკიტნოში, ღვინის სმისგან გაქინქლილებულს, სადაც ყველა იმის პატრონი იყო; ხან იმ სახლის ეზოში წარმოუდგებოდა თვალ-წინ ეკა, ურცხვად მოცინარე, რომელსაც ყოველთვის ზიზღით უცქეროდა...

ამისთანა სურათები სულ სხვა-და-სხვა გვარად ეხატებოდა უბედურს მამას. როდესაც უთხრეს სადილი ჰამეო, ავადმყოფი გადმობრუნდა და დაინახა, რომ სუფრას, რომელზედაც ფქვილის ლომისა და ნახევარ წველა კბილის ყველის მეტი არაფერი იყო, მთელი იმისი სახლობა უჯდა.

ეკას მამამ დაინახა თავისი შვიდი-ვე შვილი ერთად, მხიარულნი, დაინახა თავისი ცოლი ბედნიერი და გულში გაუელვა აზრმა, რომ რისთვის, რისთვის უნდა წავიდეს ეკა ჩემის სახლიდგანაო?

— განა ჩვენ ყველანი ერთად ბედნიერნი არა ვართ?—იფიქრა მოხუცებულმა.

მაგრამ ამ დროს გულიდამ ვიღაცამ ამოსძახა, რომ არა, შენი შვილები ბედნიერები არ არიან, იმათ ეხლა თითქმის ყველას ცოლები უნდა ჰყავდესთ და ქალები ხომ ხუთის წლის წინადაც გასათხოვრები იყვნენო; რომ შენ არ შეგიძლიან ამათი გაბედნიერება; რომ ისინი ცოდვანი არიან შენს ხელშიო. საბრალო' ნაღვლით აევსო გული.

ეკა არაფერს არა სჭამდა; იმას უნდოდა, მალე ამდგარიყვნენ და ბატონისას წასულიყო.

ხედავდა უბედური მამა ეკას მხიარულებას, მაგრამ მაინც არა სჯეროდა, რომ ის ამაზედ უფრო ბედნიერი გახდებოდა სადმე. არა სწამდა ის, რაც მოუჩმახეს. წარმოდგენაც-კი არ შეეძლო იმისი, რომ ეკა სადღაც, ვიღაცასთან, სამშობლოს, დედ-მამას, და-ძმებს, ტოლ-ამხანაგებს მოშორებული, ბედნიერი იქნებოდა.

ეკა ბატონი, ეკა დიდის კაცის შვილი, ეკა მდიდარი იმისთვის არ არსებობდა, მაგრამ ვისთვის ეთქვა რამე, ვისთვის გაეზიარებინა თავისი იჭვნეულობა?..

### V

ამ ნაირად ივანე პეტრეს ძეს შეუსრულდა თავისი სურვილი. თუმცა ეკაც ძალიან მხიარული იყო, მაგრამ ივანე პეტრეს ძის ნეტარებასთან იმისი მხიარულება არაფრად არა სჩანდა. ივანე პეტრეს ძე სულ გაპავშვდა თითქმის და არ იცოდა, რა ექნა? უნდა გენახათ, როგორ უჩლიჩგებდა ეკას ენას და როგორ ეფერებოდა. ამ ნაირის თავისის ქცევით იმან უცებ მოხიბლა ეკას უმანკო, ჩვილი გული და მიიზიდა. ივანე პეტრეს ძემ იქვე უყიდა ეკას და შეუკერვინა რამდენიმე ხელი ტანისამოსი. ხუთშაბათისთვის წასვლას აპირებოდა და იმ დღისთვის ეკაც მოამზადეს. ეკას მშვენიერი ბარგი გამოუწყეს, იმისთანა ბარგი, რომლისთანაც თვით ქალბატონსაც არ ჰღირსებია, არამც თუ ვიღაც უბრალო ყაზახის შვილსა. არც ეკას დედ-მამა დასტოვა ივანე პეტრეს ძემ უყურადღებოდ, არც სხვები. თითქმის არ დარჩენილა ჩვენ სოფელში კაცი, ბავშვი მაინც, რომ ივანე პეტრეს ძეს არ მოემადლიერებინოს: ბატონებიდამ დაწყებული უბრალო მოსამსახურემდის ყველას გაუკეთა გული, მხოლოდ მუნჯიას-კი ვერაფერი მოუხერხა.

მუნჯია ამ დღეებში სულ გამოიცვალა: ეგდო ნიადაგ სამზარეულოში, კუთხეში, და იყო იქ. ეკასაც რაღაც გლახა თვალით დაუწყო ყურება, მაგრამ იმისი სულ მიტოვება მუნჯიას არ შეეძლო. უეკოდ მუნჯია ვერ იცოცხლებდა იქ, სადაც იმისთვის მეტი არავინ იყო.

მუნჯიას უყვარდა ეკა, უყვარდა მთელის თავის არსებით, მთელის თავის გრძნობებით; უყვარდა ისე-კი არა, როგორც კაცს ეყვარება კაცი, რომელიც თავის თავს ყოველთვის აფასებს; იმას უყვარდა ეკა, როგორც ძაღლს საყვარელი პატრონი, როგორც ძაღლს, რომელიც თავის თავს არაფრად არ აგდებს. დიაღ, ეს სიყვარული ინსტინქტური იყო, პირუტყვული, ძაღლური, მაგრამ სამაგიეროდ ნამდვილი, ანგარიშს მოკლებული, შეუცვლელი, მტკიცე, გაუზომელი, გაუთავებელი. მხოლოდ ერთად-ერთს სიკვდილს შეეძლო ამ სიყვარულის მოსპობა, სხვას არაფერს.

ხუთშაბათიც დადგა. წირვის დრო იქნებოდა, როცა ეკამ ჩამოიარა ყველა თავისი მეზობლები და გამოეთხოვა. ვახთა ეხლა იმას დასდევდა უკან, როგორც მხლებელი. ეკა გამოეთხოვა, რასაკვირველია, თავის დედ-მამას. დედა სტიროდა და ვერაფერს ამბობდა, როცა შვილს ეთხოვებოდა; მამამ-კი შემდეგი უთხრა ეკას გამოთხოვებისას:

— მშვიდობით, შვილო! უკანასკნელს დღის-ძიებამდის ეცადე დაიცვა პატიოსნება და ნამუსი. ღმერთმა ნუ გამაგონოს, რომ შენ... მაგრამ ცრემლებმა, რომელიც ყელში მოადგა მამას, აღარ მისცეს საბრალოს ნება დაეთავებინა თავისი სიტყვები.

ვახთა მაშინ იქ იყო და იმასაც-კი ცრემლები მოერია, ამ კაცის ტანჯვას რომ უყურებდა. მხოლოდ ეხლა გამოიღვიძა ვახთას კაცურმა გრძნობამ, რომელიც აქამდე ჩაქლეილი იყო სადღაც და რომელიღაც კუნჭულში. მხოლოდ ეხლა იგრძნო

ლი და შიგ მუცელში დაუცია ყაჭაშვილისათვის. საცოდავმა თურმე სულ აღარ იცოცხლა რამდენიმე წუთი, მოითხოვა წყალი და, დალია თუ არა, მაშინათვე სული განუტევა. კაცის მკვლელი მეორე დღესვე დაიჭირეს და გაჰგზავნეს საპყრობილეში. გამოძიება სწარმოებს.

საკვირველი და საოცარია ამასთან ლევან კიკილაშვილის საქციელი მკვლელობის ჩადენის შემდეგ. როდესაც კაცი მოჰკლა, გამოიღო თურმე ხანჯალი თავის მსხვერპლიდგან, მიწაზე გაუსვ-გამოუსვა, გაწმინდა, ავიდა ერთს მახლობელს ფერდობზედ, არხეინად დაჯდა და დამშეიდებულმა პურს ჭამა დაუწყო.

*** სახჩერე: სახჩერის მახლობლად, სოფელს დუნთაში, დადებული აქვსთ დღესასწაულად კვირა-ცხოვლობა. ამ დღესასწაულზე ამ სოფლის გლეხმა ზაბახიძემ გაჰმართა ქორწილი. როდესაც მოჰყავდათ დედოფალი, მახარობელმა, ჩვეულებისამებრ, მიირბინა ოჯახში და დაიძახა: „ქალი მოგვყავს ლამაზი, დაგვიცალეთ დარბაზიო", ამასთანავე რიგისამებრ ამართა თოფი ჰაერში და ორჯელ ჯახმახი დაალეწინა. თოფმა უმტყუნა. მახარობელმა თოფი ჩამოუშვა ძირს და მიჰმართა კარებისაკენ, საიდგანაც ჯგუფად გამოდიოდნენ სტუმარ-მასპინძელი ქალები. უცებ თოფმა იგრიალა პირდაპირ ამ ქალების გროვისაკენ, ერთს მათგანს მკლავი გაუტრუსა ტყვიამ, მეორეს, სტუმარს დედაკაცს, რომელიც ყველასი უკან იდგა, მოხვდა მუ კელში და ტყვია ქიმმა თეძოდამ გამოუღო. საწყალმა დედაკაცმა მეორე დღეს გათენებამდე განუტევა სული.

## ქალაქის საბჭო.

9 მაისი

თუ მკითხველს ახსოვს, 2 მაისის კრებაზე ხმოსანმა ევანგულოვმა წინადადება მისცა ქალაქის საბჭოს, რომ დახმარება გაეწიოს ტფილისის პირველ კლასიკურს გიმნაზიას და უფულობის გამო საქმე იქამდის არ მიაყვანინოს გიმნაზიის მთავრობასა, დაახუროს პარალელი კლასები. ამის თაობაზე კრებაში გამოითქვა აზრი, რომ თვით გიმნაზიის მთავრობამ სთხოვა სამინისტროს და ნება-რთვაც მიიღო, რათა მოასხას რაიმე ღონის-ძიება და კვლავ შეინახოს პარალელი კლასები. ამ ამბის სინამდვილე უნდა შეეტყო ქალაქის თავსა და 9 მაისს ეცნობებინა საბჭოსათვის. 9 მაისის კრებას საბჭომ მოისმინა ოფიციალური წერილი ბ-ნ მზრუნველის კანცელარიიდამ. წერილი ამბობს, რომ სამინისტრო თავის მხრით შემწეობას იძლევა ოთხას თუმნამდე. დანარჩენი ათას ორასი თუმანი თვით გიმნაზიის მთავრობამ უნდა მოაგროვოს შეგირდებიდამ, რომელთაც ამას იქით სწავლის ფული გამოერთმევათ წელიწადში ხუთ-ხუთი თუმანი და აგრეთვე პანსიონერებსაც მოემატებათ ხარჯი ხუთ-ხუთი თუმანი წელიწადში. ხოლო ხარჯთ-აღრიცხვიდამ ნათლად არა სჩანს, როგორ იშოვნის გიმნაზიის მთავრობა კიდევ 1,700 მანათს, რომ შესძლოს მასწავლებელთა საჩუქრები და სხვა ხარჯი, ამიტომ შესაძლოა პარალელი კლასები დაიხუროს, თუ ამ 1,700 მანათს ვერ ვიშოვნით.

ევანგულოვი. გიმნაზიის მთავრობა სწორეთ მადლობის ღირსია, რომ თითონვე უნაღვლია და მოუხერხებია პარალელ კლასების დანარჩუნება. ესლა ჩვენის მხრით იმოდენის ფულით დახმარება აღარ არის საჭირო, და ამიტომ დავადგინოთ, რომ თუ 1,700 მანათის უქონლობით დაიხურება პარალელი კლასები, ეს ფული იკისროს ქალაქმა.

ქალაქის თავი. სამოსწავლო მთავრობის ქაღალდებიდამ გამგეობა დარწმუნდა, რომ პარალელი კლასები არ დაიკეტება და ამიტომ დავადგინოთ, რომ ეს საქმე გათავებულია. ახლა განვიხილოთ ბ-ნის ევანგულოვის წინადადება შესახებ მოსამზადებელ კლასებისა.

თუმანიშვილი. საფუძველი, რომელიც მოჰყავს ხმოსანს ევანგულოვს, რათა დაარწმუნოს მთავრობა, რომ ტფილისისათვის შეუძლებელია მოსამზადებელ კლასების დაკეტვა, არ არის შესაწყნარებელი და ვაითუ უფრო საზიანოდაც დაგვრჩეს. მაგალითად, ბ-ნ ევანგულოვის წინადადებაში სწერია, რომ მოსამზადებელ კლასებზე მთავრობას არა ეხარჯება-რა, შეგირდების გადასახადი ჰფარავს ყოველსავე ხარჯსა. მთავრობას შეუძლიან გვიპასუხოს—თუ-კი ხარჯი არა მოუნდება-რა, მაშ თვით ქალაქმა გახსნას თავისთვის მოსამზადებელი კლასები და ჩვენ-კი თავი დაგვანებოსო. მეორე საფუძვლად ის მოჰყავს, რომ სიცხეების გამო ჩვენში შეგირდებს საზაფხულოდ დაითხოვენ ხოლმე სამის თვით, მაშინ-როდესაც რუსეთში მარტო ორის თვითა, და ამის გამო ჩვენებურს ბავშვს უფრო დიდი მომზადება უნდა, რომ ნორმალურს კლასებში უკან არ ჩამორჩეს და საგნები ჯეროვანად შეისწავლოს. ვაითუ ეს საფუძველი სხვაფრივ გამოიყენოს მთავრობამ და ჩვენშიაც მარტო ორის თვით-და დაითხოვონ ხოლმე. ეს მეტად საშიში იქნება ჩვენის ყმაწვილებისათვის. ამიტომ ეს საგანი სჯობია გარდავსცეთ სამოსწავლო კომიტეტს, რომელიც უკეთესს საფუძვლებს უპოვნის მაგ საქმეს.

ევანგულოვი. აქ ყოველი დღე მეორად გვიღირს, რომ არ დაგვიხურონ მოსამზადებელი კლასები გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში, და რაღა დროს სამოსწავლო კომიტეტია—დაგვიანდება. ამიტომ მივანდოთ გამგეობას, რომ ხვალვე გაიგზავნოს ქაღალდი, სადაც ჯერ არს.

საბჭომ ერთ-ხმად სთხოვა გამგეობას, რომ მალე გაეგზავნოს ქაღალდი ამის თაობაზე.

შემდეგ ამისა წაკითხულ იქმნა უარი სამინისტროსი შესახებ იმისა, რომ გაკეთდეს მუხრანის ხიდი იმ პირობით, რა პირობითაც ქალაქს უნდა ამ ხიდის აშენება. სამინისტრო ამბობს, რომ ხიდზე გამვლელ-გამომვლელს კანონის ძალით არ გამოერთმევა ხარჯიო. საბჭომ გამოაცხადა, რომ უფულობის გამო მუქთა ხიდის გაკეთება არ შეუძლიან ქალაქსაო. ხალხი ესლაც იხდის ხარჯს ბორანზე სიარულისათვის. ხიდზე სიარული ურჩევნია, ვიდრე ბორანზე. ხელ-მეორეთ ვითხოვოთ, რომ ნება მოგვცენ ამ ხარჯის დაწესებისა, ვიდრე ავაგუნებდეთ იმ ფულს, რომელიც მოუნდება ხიდის აშენებას, თორემ თავის დღეში ვერ ვეღირსებით მუხრანის ხიდსა.

## წერილი რედაქციის მიმართ

I

ბატონო რედაქტორო!

ამ ცოტა ხნის განმავლობაში მაკრინე იოსების ასულის ღლონტის თაოსნობით ბათუმში მოჰგროვდა 157 მან. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ. აქედგან 82 მანეთი გავგზავნე „საზოგადოებას" ტფილისის ლატარიისთვის და 75 მანეთი გარდაეცა ბათუმის სკოლის სამზრუნველოს საზინადარს, ბ-ნს ზ. გედევანიშვილს. ამ საქმეში ძალიან გაისარჯნენ ბბ. ს. სურგულაძე, ვ. ღლონტი და ა. ღლღუ, რომლებსაც გულითადს მადლობას ვუძღვნი.

ბათუმის სკოლის მასწავლებელი
მოსე ნათაძე

II

ბატონო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ, როგორც ჩემის, ისე მთელის ჩიბათის საზოგადოების მხრით მადლობა გამოუცხადო თ. გრიგოლ გურიელს, რომელმაც ამ სამის კვირის წინად შემოსწირა რწმუნებულს ჩემდამი ჩიბათის სკოლას ნახევარი თავისის სამდოლაბიანის წყლის წისქვილისა. ამ გვარი უხვი შეწირულებანი საზოგადოდ ოზურგეთის მაზრის სახალხო სკოლებისა და ნამეტურ კერძოდ ჩემის სკოლის სასარგებლოდ თავ. გრიგოლ გურიელის მხრით არა ერთხელია. იშვიათია ჩვენში ისეთი სახალხო სკოლა, რომელსაც თ. გრიგოლი არ დახმარებოდეს. მადლობის ღირსია თ. გრიგოლ გურიელი მით უმეტეს, რომ ჩიბათის სკოლას თითქმის იმის წყალობით უცოცხლია დღემდის და თუ-კი რაიმე აქვს და სიცოცხლის ნიშანი ადევს, თავ. გრიგოლის შემწეობით არის. ისე წელიწადი არ გაივლის, რომ თავ. გრიგოლ გურიელმა რაიმე შემოწირულება არ უძღვნას ჩიბათის სკოლას, თუ ფულით, თუ რაიმე სასწავლო ნივთეულობით. ზემოხსენებული წისქვილი განუწყვეტლივ ჰმუშაობს, გარდა ზაფხულის თვეებისა, როცა გოლვის გამო წყალი უშრება. როგორც ამბობენ, ამ წისქვილიდამ, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, სამი თუმანი შემოსავალი ექმნება სკოლას წელიწადში.

ჩიბათის სოფლის მასწავლებელი
მარკოზ ჯორბენაძე

---

ვახთამ, რომ უსამართლოდ ართმევენ მამას შვილს, მაგრამ ეჰ!.. ეს გამოღვიძება წუთიერი იყო და ეკას მამის სახლიდამ რომ გამოვიდა, აღარც-კი გახსენებია.

ასეა, ხანდისხან გამოიღვიძებს ხოლმე ამისთანა კაცში კაცური გრძნობა, მაგრამ რა ჰქნას, თუ ადგილი აღარ არის იმისთვის ცარიელის კაცის გულში, თუ ყველაფერს ბოროტი სული დაჰპატრონებია შიგ და შთაუნთქავს სატანას!

—

ბატონის სახლის ეზო სავსე იყო ხალხით, თითქოს რაღაცა დღესასწაული არისო; კაცსა და ქალს, დიდსა და პატარას,—ყველას იქ მოეყარა თავი. ყველანი სიხარბით მისჩერებოდნენ ხან ეკას და ხან ეტლს, რომელიც ივანე პეტრეს ძემ დაიბარა საიცამლოდ. ვაი შენს ტყავსაო—ჰფიქრობდნენ ახალგაზდა ქალები,—ამ დღეს მოესწრაო! ივანე პეტრეს ძეს შვილობილობა, ქუთაისში წასვლა და ნამეტურ ეტლში ჩაჯდომა რაღაცა დიდი და დიდი ბედნიერება იყო იმათთვის.

აი, ჩამოვიდნენ ყველანი ძირს. წინ მოდის გახარებული ივანე პეტრეს ძე, მერე ბატონი, მერე ქალბატონი და ეკა. ბარგიც გამოიტანეს და ჩააწყეს ეტლში. ივანე პეტრეს ძე უკანასკნელად გამოეთხოვა ბატონებს და დაიჭირა ადგილი ჩასაჯდომში; ეკაც გამოეთხოვა ქალბატონს, რომელმაც შუბლზედ აკოცა, გამოეთხოვა ტოლამხანაგებს, რომლებთანაც გაეტარებინა თავისი სიყმაწვილე, რომლებთანაც იმდენი ემხიარულნა, და ჩაჯდა ისიც ეტლში, ივანე პეტრეს ძეს გვერდით.

ეხლა-კი ყველა შესწუხდა. ეკა ყველას უყვარდა და ასე მოულოდნელი და უჩვეულო იმისი დაკარგვა ყველასთვის დასაღონებელი იყო. ახალგაზდა ქალები ჰკარგავდნენ საყვარელს ამხანაგს და ახალგაზდა ბიჭები-კი—ლამაზს ქალს, რომლის შერთვაც, ვინ იცის, იქნება რომელსამე მათგანს ჰღირსებოდა. მთელი ჩვენი სოფელი ობლდებოდა ამით და, რა გასაკვირველია, თუ ყველანი მწუხარენი იყვნენ და ბევრნი კიდეც სტიროდნენ.

ამ დროს ეკას დედაც თავის სახლის კარებზედ იდგა და მოუთმენლად ელოდა, როდის გამოივლის გზაზედ ეტლი, რომ ერთხელ კიდევ დაეინახა ჩემი საყვარელი შვილიო. მამა-კი ქვეშაგებში იწვა, იმას აღარ შეეძლო აწი ეკას ნახვა.

აი, ვახთაც ავიდა ეტლის კოფოზედ და მოუჯდა მეეტლეს. ცხენები დაიძრნენ და ეტლი წავიდა. ივანე პეტრეს ძე კიდევ უქნევდა თავს ბატონებს, ეკა-კი თვალ-ცრემლიანი იყო და თავის ტოლებს მისჩერებოდა.

ამ დროს მოისმა საშინელი ყვირილი, რომელიც უფრო მხეცის ხმასა ჰგავდა, ვიდრე კაცისას. ეს მუნჯია იყო. ის მხოლოდ ეხლა გამოვიდა სამზარეულოდამ და დაინახა, რომ ეკა იმ საზიზღარ კაცთან ერთად ეტლით მიჰქროლავს სადღაც.

მუნჯიამ აქამდის არაფერი არ იცოდა, რადგან ეკას არ მისცეს ნება იმასთან გამოთხოვებისა. ყველას ეშინოდა, არაფერი ავტეხნა მუნჯიას, როცა შეიტყობდა ეკას წასვლას. ეკაც იძულებული იყო, დამორჩილებოდა, რადგან თვითონაც ეშინოდა ეხლა მუნჯიასი.

აი, ერთი გაიზნიქა მუნჯია, გაიზმორა და მორთო ტირილი საშინელისა და შემაძრწუნებელის ხმით.

ამ დროს მოიხედა ეკამ და შეხედა მუნჯიას. იმათი თვალები ერთმანეთს მოხვდნენ და ეხლა-კი ველარ გასძლო მუნჯიამ. გამოეკიდა გაქანებულს ეტლს, გამოეკიდა ისე, რომ კაცს ეგონებოდა მიფრინავსო. ამის დანახვაზე შეიქნა ჟრიამ-ხრიალი და ყველანი გამოუდგნენ უკან მუნჯიას. ერთი ბიჭი წინ დახვდა, მაგრამ მუნჯიამ ისეთის ძალით ჰკრა გულზედ ხელი, რომ მაშინვე მიწაზედ დაანარცხა.

ეს რომ მეეტლემ დაინახა, ცხენებს გაუჩქარა; ვახთაც მოეხმარა. ივანე პეტრეს ძეც ხმას აძლევდა, ძლიერ გარეკეთ ცხენებიო. დიდს ივანეს ეშინოდა მუნჯიასი, რადგან იცოდა, რომ იმას ეზიზღებოდა ეს კაცი. ეკა ჰხედავდა მუნჯიას ასე გამხეცებულს და სტიროდა. ეკამ იგრძნო ეხლა, რომ არ უნდა დაენებებინა საბრალოსათვის თავი; იგრძნო, რამდენად ჰყვარებია ის მუნჯიას და თვითონაც შეუყვარდა საწყალი მუნჯია. ის ეხლა ნახევარ თავის სიცოცხლეს მისცემდა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო უკან დაბრუნება, მაგრამ გვიანღა იყო.

თუმცა ცხენები, რაც შეეძლოთ, მირბოდნენ, მაგრამ, რადგან კარგი გზა ვერ იყო, მუნჯია მოეწია ეტლსა: პირიდამ გაბრაზებულსავით დორბლებსა ჰყრიდა და ბრდღვინავდა. აი, უეცრად გაიშვირა იმან ორივე ხელი და მაგრად ჩაჰკიდა ეტლს. ეტლი უეცრად შესდგა, მეეტლე გაშმაგებული უჯავრდებოდა ცხენებს, მაგრამ შეშინებული ცხენები იდგნენ და არ ინძრეოდნენ. ვახთა ზევიდგან გადმოწოლილი იყო და ეჯაჯგურებოდა მუნჯიას, მაგრამ მუნჯია, თითქოს ლურსმნით მიუკრავთო, ეტლს არა შორდებოდა. აი, შესდგა ცალი ფეხი ეტლის საფეხურზედ და უნდოდა მოახვეოდა ეკას, რომელიც სტიროდა და იმისკენ იწევდა. ცოტაც და მუნჯია მოიტაცებს თავის ეკას, მაგრამ ამ დროს ანაზდად გავარდა დამბაჩა, კვამლმა მოიცვა ყველაფერი და ცხენებიც, თითქოს დამბაჩის სროლას უცდიდნენო, გადარეულნი გაქანდნენ. კვამლი გაიბნა და იმ ადგილს, სადაც ეტლი იდგა, გამოჩნდა უსულო გვამი მუნჯიასი, რომელიც თავისსავე სისხლში სცურავდა. ტყვია საცოდავს შიგ თავში ჰქონდა მოხვედრილი და სულ დამსხვრეოდა თავის ძვლები; იმის სახეს აღარც თვალები, აღარც ცხვირ-პირი, აღარც შუბლი აღარ ეტყობოდა; ტვინი საზარლად გადასხმოდა დედამიწას. ამის დანახვაზედ შეიქნა საშინელი კივილი და ყველანი, ზარ-დაცემულნი საზიზღარის სურათის დანახვით, მიეხვივნენ გვამსა. ეტლი-კი ისე მიჰქროლავდა, თითქოს აქ არაფერი ამბავი მომხდარიყოსო; თითქმის ადამიანნიც ეტლივით უგრძნობნი იყვნენ, თითქოს ივანე პეტრეს ძემ კაცი-კი არ მოკლა, უბრალო ჯირკს ესროლა დამბაჩა თავის გასართობადაო. ან-კი რით განირჩეოდა მუნჯია ჯირკისაგან? ვინ ამოიღებდა ხმას საცოდავის ასე სიკვდილზედ?

ეკას სახლის წინაც გაირიხინა ეტლმა. იმის დედას ეგონა—ეკა ერთხელ კიდევ შემომხედავსო, მაგრამ იმის განცვიფრებას საზღვარი აღარა ჰქონდა, როცა დაინახა, რომ ეკა მჩვარიეთ ეგდო ივანე პეტრეს ძეს მუხლებზედ და არ ინძროდა. დედამ ამის დანახვაზედ მიაკივლა და გამოვარდა კარში, მაგრამ ეტლი უკვე მიიმალა და ისიც ცარიელი დარჩა. რა ამბავიაო, კითხულობდა ეკას მამა, მაგრამ ცოლი ვერაფერს ვერ ეუბნებოდა და იცრემლებოდა ჩუმად. ამ დროს იმათი შვილებიც მოვიდნენ და უამბეს, რა საზარელი სურათიცა ნახეს დღეს. საბრალო ავადმყოფი გაშტერებული უგდებდა ყურს, რასაც ამბობდნენ; ბოლოს ველარ მოითმინა, ერთი საშინლად ამოიოხრა და სთქვა: „ვის ხელში ჩამაგდებინეთ შვილი, თქვე ულმერთონო!» ამის მეტი იმას აღარაფერი უთქვამს-რა. ეს უკანასკნელი სიტყვები იყო ეკას მამასი. პატარა ხანს უკან ენა ჩაუვარდა, ცნობა დაეკარგა და მთელი ღამე სულთ-მობრძავი იყო. გათენებისას კიდეც გათავდა.

(დასასრული იქნება)

## წვრილი ამბები

ამ სტატისტიკური ცნობანი იმის შესახებ, თუ რამდენად არის გავრცელებული ემილ ზოლას რომანები მარტო ფრანგულს ენაზედ. ეს ცნობები დაბეჭდილია პარიჟის წიგნების გამომცემელ ფირმის შარპანტიეს ანგარიშში. 14 რომანი ზოლასი „რუგონები“ სულ გაყიდულა 700,000 ეგზემპლიარი, რაც ორთა-შუა რაცხვით თითო რომანზედ 50,000 ეგზემპლიარი მოდის. ამას გარდა „Nana“ 150 ჯერ დაუბეჭდიათ, „Assomoir“-111 ჯერ, „Pot-bouille“—75, „Germinal“—72, „La terre“—66, „Au bonheuer des dames“—55, „La joie de vivre“—40.

— ოქტავ ფელიე ამ ზაფხულისათვის დასაბეჭდად ამზადებს ახალს თხზულებას—„რომანი მხატვრისა“. პარიჟის გაზეთები ადრევე ამბობენ, რომ ეს რომანი ძალიან მოეწონებათ მკითხველებსაო. რომანში აღწერილია შინაური ცხოვრება მხატვრისა. ეს მხატვარი ერთს დედაკაცს შეჰხვდება და შეიყვარებს. ავტორს დიდის ცოდნითა აქვს შესწავლული მხატვრის ცხოვრება.

— საშინელი ამბავი მომხდარა ამას წინად პარიჟში, ერთის მომუშავე კაცის სახლში. ამ მომუშავის ცოლი ჭლექით ყოფილა. ამათს ერთად-ერთს შვილს, 23 წლის ყმაწვილ კაცს, ძალიან უყვარდა თურმე დედა, თავზედ ევლებოდა და თითქმის გვერდიდგან არა შორდებოდა. მამა თუმცა მწუხარე იყო ცოლის ავადმყოფობით, მაინც ერთხელ გაჰყვა თავის ამხანაგებს, ჩაითრო, დაბრუნდა სახლში და ერთი აყალმაყალი გამართა. შვილმა დაუწყო ვედრება და თხოვნა მამას, რომ ნუ აწუხებ დედაჩემს, დაესხენ მშვიდობიანად მაინც ამოუყვიდეს სულიო, ხოლო ამაზედ მამამ უფრო უარესად დაიწყო ჩხუბი და ყვირილი. ყმაწვილმა კაცმა ვეღარ აიტანა თურმე, წამოავლო დიდს, სამზარეულო დანას ხელი, მივიდა მომაკვდავ დედასთან, შუბლზე აკოცა და იქვე დაიცა დანა გვერდში. უბედურს დედას შვილის სისხლის წინწკლები ეცა, ერთს წუთს გონებაზედ მოვიდა, გაიგო, რაც მოხდა და იქვე სული განუტევა... მოხუცებული მამა-კი თითქმის ჭკუიდგან შეიშალა თურმე.

— ეხლა ყველამ უწყის, რომ იმპერატორს ვილჰელმს თავის შემდეგ დაუტოვებია ორმოც-და-რვა მილიონი მანათი. თავის მეუღლისათვის განსვენებულს უანდერძნია 6 მილიონი, ბადენის დიდის ჰერცოგის მეუღლისათვის—2 მილიონი, მემკვიდრე პრინცისა და პრინცესსათვის ორ-ორი მილიონი, პრინცის ჰენრიხისათვის ორი მილიონი ფულად და მამულები, სახელმწიფო ხაზინადრისათვის იმპერატორს დაუნიშნავს 24 (?) მილიონი. დანარჩენი ფული კანონის თანახმად უნდა გაანაწილონ ყველა იმის ნათესავთა შორის.

— გაზ. «Tribune Nationale»-ში, რომელიც ბუენოს-აირესში გამოდის, დიდ-ძალი დეპეშები იბეჭდება თურმე ბერლინიდგან. გერმანიის იმპერატორის გარდაცვალების გამო ერთს დღეში ამ გაზეთმა ორი ათას სტრიქონამდე დეპეშები დაბეჭდა, მაშინ-როდესაც თითო სტრიქონი ბერლინიდგან მიღებული დეპეშებისა 4 მანათი ჯდება. ერთ ხელობაზევე გაზეთმა მიიღო თურმე დეპეშა ათას ხუთას სტრიქონად და 6,000 მანათი გადაიხადა.

— ამას წინად ვენის ჯალათი მისულა ტრიესტში ვიღაცას დასასჯელად და თავის ორის თანაშემწეთურთ ლუდხანაში შესულა ლუდის დასალევად. ლუდხანაში ჯალათი უცვნიათ, მთელი გუნდი ხალხისა შეკრებილა ჯალათის გარშემო და მუქარა დაუწყიათ. ჯალათი თანაშემწეებითურთ გაქცეულა მეორე კარებიდგან, პოლიციის დახმარებით. მეორე მხრივ ქალაქის დალაქს გაზეთებში გამოუცხადებია, რომ მე ჯალათისათვის წვერი არ მომიპარსავსო, რადგან ამ დალაქთან ალარავის უნდოდა თურმე წასვლა.

## დეპეშა

7 მაისი

პეტერბურგი. პირველს მაისს გაზეთ «Новое Время»-ში დაბეჭდილი იყო, ვითომ ხაზინა დახვრეტილს აბაზიანს თექვსმეტ კაპეიკად მიიღებს, სამშაურიანს—12 კაპ. და ორშაურიანს 8 კაპ. ამ ამბის გამო ფინანსთა სამინისტრო აცხადებს, რომ არავითარი განკარგულება არ მოუხდენია დახვრეტილის ფულის ფასის შემცირების შესახებ და რომ დახვრეტილს ფულს ხაზინა მიიღებს იმავე ფასად, რა ფასადაც დღემდის იღებდა.

პეტერბურგის საქალაქო გამგეობის დარბაზში იდღესასწაულეს იუბილეი ლეიბ-მედიკის ზდეკაუერისა. ამ იუბილეიზე დაესწრო დიდი მთავარი პაველ ალექსანდრეს ძე, წაკითხულ იქმნა დეპეშები სამეფო სახლის წევრებისა და აგრეთვე დაესწრო მრავალი დეპუტაცია.

ვენა. ჩერნოგორიელ მეამბოხეთა გუნდი, რომელიც ჰერცოგოვინას შეესია, დამარცხებულ და განფანტულ იქმნა. მეამბოხეთა მეთაური—მილიუტინი-ილიჩი მოჰკლეს.

ის ამბავი, რომ ვითომ სალონიკში უწესოება და სისხლის-ღვრა მოხდა და ვითომ ჯარი გადაჰყავთ გადმოჰყავთო, ტყუილია.

ნიში. უკვე გამართულია გზა ნიშსა და სალონიკს შუა.

8 მაისი

ათინა. დედოფალი წავა რუსეთში 12-ს მაისს.

ვენა. გალიციელი რაზმები, რომელნიც იმპერიის შუა ადგილებშია დაბინავებული, უნდა გადაიყვანონ თავ-თავიანთ ოლქებში.

პეტერბურგის ბირჟა, 5 მაისი

| | მყიდველნი. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 9 60 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 191 |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 40 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 274 |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 246 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ. ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25. მაისი 31 დღით არის.

11 დღე ოთხშაბათი. წმ. კონსტანტინესი. კათოლ. იზაბელასი. მუსულ. მე-13 რიცხვი თვისა რამაზანისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 4—33, ჩადის 7—20. მთვარე 13 დღისაა.

12 დღე ხუთშაბათი. წმ. ეპიფანესი. კათოლ. პანკრატისა. მუსულ. მე-14 რიცხვი თვისა რამაზანისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13. ტფილისში მზე ამოდის 4—32, ჩადის 7—21. მთვარე 14 დღისაა.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდან: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით, ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით, რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

### მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| ტფილისი . | — | — | 8 | 49 | ბათუმი . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი. | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა. . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები. . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 10 | 03 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი . | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი . . . | 1 | 25 | 11 | 40 | საჯავახო. . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 08 | 12 | 11 | სამტრედია. | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი. | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური . . | 11 | 02 | 1 | 17 | რიონი. . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი. . . | 2 | — | 2 | 03 | ყვირილა . . | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი. | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი. . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი . . | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი. | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია. | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 05 | 8 | 07 | გორი . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი. . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი . . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი. . . . | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები. . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი. | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი . . | 11 | 13 | — | — | ტფილისი . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათზედ და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | ღამით | | | |
| ტფილისი . | — | — | 3 | 21 | სურამი . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 | გორი . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| გორი . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა. . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური . . | 8 | 54 | 8 | 38 | ავჭალა . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — | ტფილისი . | 8 | 24 | — | — |

## განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მმართველობა ამით აცხადებს, რომ ქვემოხსენებულ კაცთა მამულები, რომელიც დაგირავებული იყო ბანკში, ბანკის წესდების მე-14 §-ის ძალით, დანიშნულ იქმნება საჯარო გასასყიდად წესდების მიერ დაწესებულ გარდასახადთა შეუტანლობისა გამო.

ვაჭრობა მოიხსნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საჭირო გარდასახადს შემოიტანენ მამულის პატრონნი.

ხმიადლოვი, ვასილ ეფრემის ძე: სახნავ-სათიბი ადგილები, ზომით 145 დეს. 1756 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრას, სოფ. ნაწრეტს.

ბარათაშვილი, დავით ზაქარიას ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ორ-სართულიანი ფლიგელი და დიდი სარაია, მიწა ზომით 224 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისს, 1 განყოფ. მე-2 ნაწილში.

ყარაევი, დავით იაკობის ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფებით და ორი ერთ-სართულიანი ფლიგელი, ორ-სართულიანივე ფლიგელი სარდაფის სართულით, კიდევ ორ-სართულიანი ფლიგელი, მიშენებული, საჯინიბო, სარაია, ფურნე და დუქანი, ზომით 250 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისს, ლაბორატორიის ქუჩაზედ, 2 ნაწილში 1 განყოფილებაში.

ცურიევი, სპირიდონ იაკოფის ძე: სახნავი ადგილები, ზომით 1 დესიატ. 1100 ოთხ-კუთხი საჟ. გორის მაზრას, სოფ. ფხვენისში.

ბარათაშვილი, დავით ზაქარიას ძე: სახნავი და სათიბი ადგილები და ტყე, ზომით 1060 დესიატ. 2112 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის მაზრას, სოფ. ‹რაგას.

ბარათაშვილი, დავით ზაქარიას ძე: სახნავი და სამინდვრე ადგილები და ტყე, ზომით 1514 დესიატ. 700 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის მაზრას, სოფ. საბარათაშვილოსა და სხვებში.

წერეთელი, მიხეილ ემელიანის ძე: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და ერთ-სართულიანი ფლიგელი, ზომით მიწა 110 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისს, ველაბარში.

ჯანდიერი, დიმიტრი ევნატეს ძე: სამი ხეხილიანი ვენახი, ზომით 3 დეს. 600 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიის სოფ. ვაზიანში.

ავალოვისა, მარიამ გიორგის ასული: ხეხილიანი ბაღი და მიწა 1580 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბერ., თელავის მაზრას, სოფ. ვაჩნაძიანში.

(1—1)

დავიწყეთ გასყიდვა
სრულიად უშიშარის
შვედურის საჩიკისა
რომელიც ბევრად განკარგებულია და გაუმჯობესებული, თეთრი ალი აქვს და ფრიად იაფადაც ღირს. ნარდად მყიდველთ ბევრი დაეთმობათ.
ქარხანა
გ. გ. ტერ-ასატუროვისა და კ[o].
ვერაზე, ტფილისის ქალაქში
(50—43)